

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური
მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.fms.gov.ge)
საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის
შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 23 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია


ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge




საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსური
მონიტორინგის სამსახური

www.fms.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები





საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:


➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ხელმძღვანელობის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება უფროსის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება სამსახურის უფროსის მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „სამსახურის უფროსი“ და „მოადგილე“, სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

2. სამსახურის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური“, ხოლო ვებ-გვერდზე სრულად არ არის მოცემული ზემოთხსენებული დასახელება:



3. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამსახურის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

4. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტები“ მოცემულია სამსახურის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს, ამასთან, აღნიშნულ განყოფილებაში არ მოიძიება სამსახურის ელექტრონული ფოსტის მისამართი:

კონტაქტები

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
0105, თბილისი, გ. ლეონიძის ქ. #3/5

ტელეფონი: (+995 32) 2438855

ფაქსი: (+995 32) 2430008

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სამსახურის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

6. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე)-განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

სამსახურის ისტორია განთავსებულია მხოლოდ ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე:

მთავარი

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური 2003 წლის 16 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის #354 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა. სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლებამოსილებები «უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ» 2003 წლის 6 ივნისის საქართველოს კანონითა და «საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 26 ნოემბრის #859 ბრძანებულებით განისაზღვრა.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ძირითად მიზანს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობა წარმოადგენს. «უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგს ექვემდებარება როგორც ნაღდი, აგრეთვე უნაღდო ანგარიშსწორებით განხორციელებული გარიგებები, რომელთა თანხა აღემატება 30 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) და ყველა საექვო გარიგება, მიუხედავად მისი თანხის ოდენობისა.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური «უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე შეიქმნა და გამოსცემს შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესს.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შენეგანებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტთან (Moneyval), ფინანსური ქმედების სპეციალურ ჯგუფთან (FATF), სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიურ სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური 2004 წლის 23 ივნისიდან გაწევრიანებულია ეგმონტის ჯგუფში, რომელიც მსოფლიოს 126 სახელმწიფოს ანალოგიურ სამსახურს აერთიანებს, რაც საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს საშუალებას აძლევს ოპერატიულად გაცვალოს ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში აქტიურად თანამშრომლობს მონიტორინგის განმახორციელებელ პირებთან, აწვდის მათ შესაბამის მეთოდოლოგიურ და სარეკომენდაციო მასალებს, სათანადო ინსტრუქციებს. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს სისტემატური ხასიათის ურთიერთობები აქვს საზედამხედველო ორგანოებთან - საქართველოს ეროვნულ ბანკთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

7. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილება „სამსახურის ფუნქციები“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის მოქმედი დებულების მიხედვით განსაზღვრული სამსახურის მიზნებისა და ფუნქციების დეტალური აღწერა:


სამსახურის შესახებ

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ძირითად მიზანს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა წარმოადგენს. იგი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული სამსახურის დებულების, აგრეთვე სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, კანონმდებლობით დადგენილი მიზნებიდან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობს კანონით განსაზღვრულ მონიტორინგის განმახორციელებელ პირებთან, მათ საზედამხედველო ორგანოებსა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიურ სამსახურებთან.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:



- არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე

მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანამშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები (ორად ორი სტრუქტურული ერთეულის ნომერი მოცემულია განყოფილებაში „კითხვა-პასუხი“):

კითხვა-პასუხი

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კომპიუტერში შემავალ საკითხებზე კითხვების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ:

მეთოდოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა

და იურიდიული სამმართველო

ტელეფონი: 243 88 02


ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სამმართველო

ტელეფონი: 243 88 03


➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების ვრცელი არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამსახურის საქმიანობის ამსახველი 2011 და 2012 წლის წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები (მოცემულია მხოლოდ სამსახურის საქმიანობის ამსახველ ანგარიშში), პროგრამები და პროექტები (არსებობის შემთხვევაში), გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები (მ.შ. სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები და ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული სამსახურის ბიუჯეტი) და ა.შ.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „საიტის რუკა“ ცარიელია:




ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „მეზნა“ ცარიელია:



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „მონიტორინგის განმახორციელებელი პირები“ არსებული ქვე-განყოფილება „სხვა მონიტორინგის განმახორციელებელი პირები“ ცარიელია:

სამსახურის შესახებ
მონიტორინგის განმახორციელებელი პირები
- ბანკები
- სადაზღვევო კომპანიები
- სხვა მონიტორინგის განმახორციელებელი პირები



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „საყურადღებო და არაკოპერირებადი ზონები“ არსებული ქვე-განყოფილება „არაკოპერირებადი ზონები“ ცარიელია:

**საყურადღებო და
არაკოპერირებადი ზონები**

- საყურადღებო ზონები

- არაკოპერირებადი
ზონები

საყურადღებო და არაკოპერირებადი ზონები > **არაკოპერირებადი ზონები**

➤ ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

10. შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდზე არ არსებობს სამსახურის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები - ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ განთავსებულია მხოლოდ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები pdf ფორმატში:

სიახლეები

- [Money Laundering Using New Payment Methods](#)
- [Money Laundering and Terrorist Financing in the Securities Sector](#)
- [International Best Practices Detecting and preventing the illicit cross-border transportation of cash and bearer negotiable instruments](#)
- [Risk Based Approach Guidance for Dealers of Precious Metal and Stones](#)
- [Risk Based Approach Guidance for Casinos](#)
- [Risk Based Approach Guidance for Real Estate Agents](#)
- [Risk Based Approach Guidance for the Legal Professionals](#)
- [Risk Based Approach Guidance for the Insurance Sector](#)
- [Risk Based Approach Guidance for Money Service Businesses](#)
- [Customer Due Diligence for Banks - Basel Committee for Banking Supervision](#)

ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში;

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

11. განყოფილებაში სათაურად „სამსახურის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიში“ განთავსებულია სამსახურის საქმიანობის ერთადერთი - 2010 წლის ანგარიში, სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე სამსახურის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული საქმიანობის ამსახველი წლიური და აგრეთვე, 2010 წლის და 2011 წლის წლიური და მიმდინარე/კვარტალური ანგარიშები:


სამსახურის შესახებ
- სამსახურის სტრუქტურა
- სამსახურის დებულება
- წლიური ანგარიში

სამსახურის შესახებ > წლიური ანგარიში


- წლიური ანგარიში 2010

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამსახურის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებულია მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ სამსახურის საქმიანობის ამსახველ ანგარიშში:



საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში 2009 წელთან შედარებით 2010 წელს შემოსული ინფორმაციის მოცულობის ცვალებადობის ტენდენცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:



13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური (ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური (ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).

15. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება სათაურად „საერთაშორისო თანამშრომლობა, სადაც განთავსებულია პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამსახურის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები. თუმცა არ არის მოყვანილი ხსენებული სახის ინფორმაცია სამსახურის საქართველოს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ:

საერთაშორისო თანამშრომლობა
- FATF
- MONEYVAL
- EGMONT
- ორმხრივი თანამშრომლობა

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში აქტიურად თანამშრომლობს ფინანსური ქმედების სპეციალურ ჯგუფთან (FATF), ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტთან (Moneyval) და ეგმონტის ჯგუფთან. სამსახურს ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები გაფორმებული აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან.

საერთაშორისო თანამშრომლობა > FATF

:: ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FATF)

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (Financial Action Task Force on Money Laundering) შეიქმნა 1989 წელს პარიზში დიდი შვიდეულის წევრი სახელმწიფოების და მთავრობების მეთაურთა სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით. FATF-ის მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ღონისძიებების განვითარება და მხარდაჭერა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის წარმართვა.

1990 წელს FATF-ის მიერ შემუშავებულ იქნა 40 რეკომენდაცია, რომელიც კომპლექსური სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებების გატარების გზით მიზნად ისახავს ეროვნულ დონეზე ფულის გათეთრების პროცესის აღკვეთის ხელშეწყობას. აღნიშნული რეკომენდაციები იქცა საერთაშორისო სტანდარტებად ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. უკანასკნელად 40 რეკომენდაციის სრულყოფა 2003 წლის პლენარულ სხდომაზე განხორციელდა. მოგვიანებით FATF-ის საქმიანობა გაფართოვდა და მოიცვა ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთისთვის გასატარებელი ღონისძიებებიც. 2001 წელს მის მიერ დამატებით შემუშავებულ იქნა რვა სპეციალური რეკომენდაცია ფულის გათეთრების აღკვეთისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რასაც მოგვიანებით, 2004 წლის ოქტომბერში, მოჰყვა მეცხრე სპეციალური რეკომენდაციის მიღება.

სასურველია, ვებ-გვერდზე აგრეთვე, შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება საქართველოს ორგანიზაციებთან პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამსახურის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. განყოფილებას „კანონმდებლობა“ სასურველია გადაერქვას სახელწოდება და ეწოდოს „სამართლებრივი აქტები“.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კანონმდებლობა“ განთავსებული ზოგიერთი სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით, ამასთან, სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, სამსახურის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტები:

კანონმდებლობა
- კანონები
- დებულებები
- სხვა ნორმატიული აქტები

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს სამსახურის მიერ შემუშავებული ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელი და თავის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ ნორმატიული აქტების პროექტები; აგრეთვე, სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულებები:

კანონმდებლობა > დებულებები
• <u>მივროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ</u> • <u>კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ</u> • <u>ნოტარიუსების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ</u> • <u>შემოსავლების სამსახურის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ</u> • <u>სადაზღვევო ორგანიზაციებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ</u> • <u>"ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი (ორგანიზატორი) პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების და "სამორინეების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ"</u> • <u>ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ</u>

კანონმდებლობა > სხვა ნორმატიული აქტები

- საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 26 ნოემბრის #859 ბრძანებულება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"

ამასთან, განყოფილებაში „კანონმდებლობა“ სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილება სათაურად „სამსახურის დებულება“, სადაც განთავსდებოდა ქვე-განყოფილებაში „სხვა ნორმატიული აქტები“ არსებული სამსახურის დებულება.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები:

კანონმდებლობა > კანონები

- არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ
- დაზღვევის შესახებ
- საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ
- 2011 წლის 20 დეკემბრის საქართველოს კანონი "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ
- კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ
- ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ
- მეწარმეთა შესახებ
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ
- ნოტარიატის შესახებ
- არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამსახურში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/finansuri.monit_sajaro.info.pdf).

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები


19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამსახურსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამსახურსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების

(გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/finansurimonitoring_i_shesvidvebi.pdf).

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

21. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა მისი შიგთავსი ცარიელია:



სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამსახურის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული სამსახურის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამსახურის ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;


- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და სამტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამსახურის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; **(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რა ინფორმაციაც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/finansuri.monit_xelfasebi.premiebi.pdf**

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/finansurimonitoring_xelfasipremia.pdf);


- არ მოიძიება სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტების სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამსახურისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე




➤ ნავიგაცია

ნავიგაციის ლილაკი „მთავარი“ ძალიან ცუდად ჩანს, რადგან მისი ფონი თითქმის ანალოგიური ფერის არის წარწერის ფერთან. მაგ:




ვებ-გვერდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოდულია ვებ-გვერდის რუკა, რომელსაც ხშირად იყენებენ მომხმარებლები და ასევე საძიებო სისტემები. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდს ამჟამად რუკა არ გააჩნია:




➤ **ძიება**

ვეზ-გვერდზე ძიების მოდული არ არსებობს. მაგ:




➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები


ვებ-გვერდზე არსებობს ცარიელი გვერდები, სადაც არ არის აღნიშნული, რომ ინფორმაცია განახლდება ან მომზადდება. მაგ:



ვებ-გვერდზე განთავსებული ტექსტური მასალის ფონტის ზომა საკმაოდ მცირეა, რის გამოც რთულია მისი წაკითხვა. ფონტის ზომა უნდა იყოს მინიმუმ 12 პიქსელი. ამჟამად ვებ-გვერდზე ეს კრიტერიუმი არ არის დაცული. მაგ:



ვებ-გვერდის ქართულენოვან ვერსიაში ვხვდებით ინგლისურენოვან კონტენტს. მაგ:




➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდს საკონტაქტო ფორმა არ გააჩნია;


➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდის Client Side პროგრამირებაში დაშვებულია შეცდომები (HTML/CSS). ვებ-გვერდი სხვადასხვა ბრაუზერებში იტვირთება სხვადასხვა ფონტი.

მაგალითად ბრაუზერ Internet Explorer-ში იტვირთება ფონტი “Glaho”:



ხოლო ბრაუზერ „Chrome“-სი იტვირთება Sylfaen-ი:




➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

ვებ-გვერდი არ არის ინტეგრირებული არც-ერთ სოციალურ ქსელთან. მას არც ოფიციალური გვერდი გააჩნია სოციალურ ქსელებში;

➤ უსაფრთხოება

ვებ-გვერდის ცვლადები არ იფილტრება. ხელოვნურად შეცვლილი ცვლადების შემთხვევაში ვებ-გვერდი ინფორმაციას აღარ ტვირთავს. მაგ:



ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ცვლადების ფილტრაციის არ ქონით, თუმცა ისიც დასაშვებია, რომ ცვლადები იფილტრება, მაგრამ ინფორმაციის ჩატვირთვა იბლოკება ხელოვნურად. ორივე შემთხვევაში სასურველია უსაფრთხოების დეტალები დამატებით შემოწმდეს;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდს აკლია ძალიან მნიშვნელოვანი მოდულები, მაგალითად ძიების მოდული, სოციალურ ქსელში ინტეგრაციის მოდული და სხვა. ასევე სასურველია გამოსწორდეს საკონტაქტო ფორმები და წესები, მარტივად აღქმის კრიტერიუმები და ელ. ჩართულობა. ზოგადად ვებ-გვერდის სტრუქტურა და ფუნქციები ძალიან ერთფეროვანია, იგი საჭიროებს ისეთი ფუნქციების და მოდულების დამატებას, როგორიც არის სიახლეების გამოწერის მოდული, სოციალურ ქსელში გაზიარების ფუნქცია, კონტენტის შეფასების სისტემა და სხვა.